



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N65

2024 წელი; 22 ნოემბერი; 12:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

აკაკი ალადაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. თათია ბარაქაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. ლევან აბაშიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;
7. გურამ ოქროპირიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
8. ზესიკ კალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე



დღის წესრიგი


1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაქარბული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ: 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვნის სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ: 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა




- განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსი“ (ს/ნ: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ: 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიდომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული



- პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
15. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N2ა-ში მდებარე N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 16. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ, ნინუას ქ. N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარედ N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 17. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.011.014.01.535 და N01.16.01.011.014.01.532) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 18. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარაძის ქ. N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 20. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 21. „ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 22. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 23. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 24. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში არსებული 43.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით



- პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 26. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 27. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 28. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 29. „ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა-ში მდებარე 13.65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 30. „ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 31. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 32. „ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 33. „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ-ში არსებული 13.88 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 34. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 35. „ქალაქ თბილისში, დიდი დილომის დასახლება მე-3 მიკრორაიონის კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.08.006.003.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 36. „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით



- პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
37. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 38. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1435.1613 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 40. „ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოზე არსებული 710 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 41. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 42. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 43. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 44. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიგ სემისთვის“ (ს/ნ 405374107) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 45. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის“ (ს/ნ: 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 46. „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დელისთვის“ (ს/ნ: 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის




- შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
47. „ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა. N14ა-ს მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით ელისო სარაულისთვის (პ/ნ: 01003003397) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
48. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.004, ფართობი - 1 060 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
49. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
50. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.72.14.036.408, ფართობი - 1600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
51. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ.15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
52. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის I მ/რ, კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.413, ფართობი - 19 160 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
53. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.022.342, ფართობი: 6 040 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
54. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N63-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით გასატარებელი



- ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
55. „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 56. „შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 57. „ქ. თბილისში, ბეჟანიშვილის ქ. N11-ში (ს/კ: 01.12.12.005.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „შიზის“ (ს/ნ: 406368728) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 58. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 59. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 60. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს წინადადებით მიმართა სხდომის დღის წესრიგის პროექტში 43-ე და 54-ე საკითხების სახით ორი განკარგულების პროექტის დამატებისა და დღის წესრიგის პროექტის ახლებური ნუმერაციით ჩამოყალიბების თაობაზე, რაც კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოისმინეს:

1. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N43-71 დადგენილებით ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემგომში - „სააგენტო“) სტრუქტურულიდან ამოღებულ იქნა სანებართვო სამმართველო, რომლის უფლებამოსილებებიც გადაცემულ იქნა სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის. თუმცა, აღნიშნული ცვლილების ფარგლებში არ გადასულა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემულ ან/და სხვა უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის საკითხის განხილვის უფლებამოსილება, ვინაიდან შინაარსობრივად აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში განსახილველი საკითხები განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.


მარიამ კვერნაძის განმარტებით, სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არსებულ საკითხებს თემატიკიდან გამომდინარე, ამუშავებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის და ქალაქგეგმარებისა და მიწის ნაკვეთების საზღვრების მოზადების სამმართველოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებლის მითითებით, სააგენტოს მიერ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დებულებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და ზემოაღნიშნული სამმართველოების უფლებამოსილებებს დაემატოს შემდეგი შინაარსის უფლებამოსილება დებულების მე-10 მუხლის „ლ¹“ და „ზ¹“ ქვეპუნქტების სახით:

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება“;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია აერთიანებს სააგენტოს ორ უფლებამოსილებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით (იჯარის, ქვეიჯარის, ქირავნობის, ქვექირავნობის, თხოვების ფორმით) გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;



- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემულ ან/და სხვა უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება ან მასზე უარის თქმა.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, სააგენტოს დებულების სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, ცალ-ცალკე პუნქტებად, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული უფლებამოსილებები. ამასთანავე, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №139 დადგენილებით, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, აღნიშნულ ნორმატიულ აქტზე მითითება ამოღებული იქნება სააგენტოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შინაარსიდან.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებასთან მიმართებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც შესაძლო მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირების ნაწილში, დაზუსტებულ იქნას ჩანაწერი და დამატებულ იქნას ტერმინი „შესაძლო მესაკუთრე“. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

2. გურამ ოქროპირიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას - ერთ სივრცეში ჰქონდეს ფუნქციონირებადი საცურაო აუზი და ფიტნესდარბაზი, რაც გამორიცხავს მხოლოდ ფიტნესდარბაზის ან საცურაო აუზის მფლობელთა მომსახურების მიმწოდებლად ჩართვის შესაძლებლობას.



გურამ ოქროპირიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით, ქვეპროგრამაში ჩართული სუბიექტები ვერ უზრუნველყოფენ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, შესაბამისად ბენეფიციართა დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ზემოაღნიშნული პირობა აღარ იქნება სრულად კუმულატიური ხასიათის, დაემატება ალტერნატიული ნაწილი, რაც სპორტულ დაწესებულებებს საშუალებას მისცემს ერთ-ერთი ობიექტის - ფუნქციონირებადი ფიტნესდარბაზის ან საცურაო აუზის ფლობის შემთხვევაში ქვეპროგრამაში ჩაერთოს მომსახურების მიმწოდებლად. შესაბამისად, ცვლილების მიზანია, მომსახურების მიმწოდებელი სპორტული დაწესებულებების და მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე, მათთვის მომსახურების მიღების არეალის გაფართოება.

მომხსენების მიწურულს, გურამ ოქროპირიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ზლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი წესის მე-11 მუხლის (საცნობი ნიშნის გაცემა და საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების პარკირება) პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-3 პუნქტის პირველი წინადადება (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ვასილ აბულაძის განმარტებით, მართალია ზემოაღნიშნული რედაქცია ამ დროისათვის ძალადაკარგულია, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაგრძელდა საქმის განხილვა, ვინაიდან ცვლილების შედეგად მიღებული რეგულაცია არსებითად იმეორებს ამავე ნორმების



ძველი (გასაჩივრებელი) რედაქციის ნორმატიულ შინაარსს და საცნობი ნიშნის გაცემას კვლავ უკავშირებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, რომელზეც დატანილია აღნიშვნა „შპშ პირი. მკვეთრად გამოხატული“) წარდგენას, მაშინ როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მარეგულირებელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, კერძოდ, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების შესაბამისად (რომლის წარდგენის შესაძლებლობა ასევე გათვალისწინებულია სადავო ნორმით), უზრუნველყოფილია იმგვარი ოფიციალური დოკუმენტის არსებობა, რომელიც იდენტიფიცირებადს ხდის დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას და მის ხარისხობრივ გრადაციას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ცვლილების შემდგომ სადავო ნორმებს შინაარსობრივად, უფლების დაცვის თვალსაზრისით, რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია და კვლავაც არსებობს უფლების შესაძლო დარღვევის რისკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა დასძინა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, წესის მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები შესაბამისობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილებასთან და ყალიბდება ახალი რედაქციით.

მომხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილებების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით ცვლილებები შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და



დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებულ სააგენტოს დებულებაში და სააგენტოს ფუნქციებს დაემატა გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების მომზადება; აგრეთვე ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა.

ვასილ აბულაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-64 დადგენილებით შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებულ წესშიც, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული დამატებული ფუნქციებიდან გამომდინარე, სააგენტოს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, აგრეთვე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის თანხმობის გაცემის მიზნით დაუდგინდა შესაბამისი პირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა დასძინა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ყალიბდება წესის 5¹ მუხლი, რომელიც თავის თავში მოიცავს ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე/სამუშაოების წარმოებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის დამზადებას ან/და შეთანხმებას; აგრეთვე რედაქციულად იხვეწება 5² მუხლი და ახლებურად ყალიბდება მე-8 მუხლი, რომელიც განაგრძობს გადახდილი საფასურის დაბრუნების წესს.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2024 წლის 1-ლი დეკემბერი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის“ დამტკიცებას და „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის



წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულ იქნა იმ მთელი რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებებით, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში განხორციელდა; კერძოდ:

➤ ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს;


➤ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა 30-ზე მეტი ცვლილება;

➤ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 134¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირის დაჯარიმებას სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოებისათვის;

➤ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 15 მაისს მიღებულ იქნა №57-52 დადგენილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134¹ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება;

➤ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების ფარგლებში, სააგენტოს ფუნქციებს დაემატა: ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა; ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში სსიპ – ქონების მართვის სააგენტოდან თანხმობის გამოთხოვა;

➤ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №139 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, რომელიც №19-75 დადგენილების პრეამბულის მიხედვით, აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა.



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესი გავრცელდება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის, ამხანაგობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების წარმოების პირობების და შეზღუდვების, მათი ან/და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის დარღვევისას პასუხისმგებლობის, ავარიის/გადაუდებელი აუცილებლობის დროს სამუშაოთა წარმოების პირობების განსაზღვრისა და მათი დარღვევისას პასუხისმგებლობის, ხაზობრივი ნაგებობების შემდგომი გამოყენებისა და მათი სისტემატიზაციის მიზნით რეგისტრაციის წესს, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების პირობებს და ვადას.

მომხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2024 წლის 1-ლი დეკემბერი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტით გათვალისწინებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, ამხანაგობის შემთხვევაში განმცხადებელ პირად ამხანაგობის თავმჯდომარის ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირის განსაზღვრის მიზანშეწონილობაზე, ასევე დადგენილების პროექტში მუხლობრივი ნუმერაციის სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

6. ლევან აბაშიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილებების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განხორციელებისას, საკითხების შესწავლისა და დამუშავების პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოვლენილი შეფერხებების აღმოფხვრა.



ლევან აბაშიძის განმარტებით, წესის დღეს მოქმედი რედაქციით თბილისის საკრებულოს არ აქვს უფლებამოსილება სახელდება განახორციელოს ისეთ გეოგრაფიულ ობიექტებზე, რომლებიც მოქცეულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, წესი ასევე ზღუდავს სახელდებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში, ასევე სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებობს შესაბამისი ფუნქციური ზონით დატვირთული ობიექტები, რომლებიც დანიშნულების შესაბამისად გამოიყენება და ქონების მფლობელთა მიერ არსებობს სახელდების განხორციელების სურვილი.

შესაბამისად, როგორც მომხსენებელმა დასძინა, ვინაიდან თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელი გახდება სახელდების განხორციელება სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე.

ლევან აბაშიძის მითითებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდება ჩანაწერი რელიგიური წმინდანების სახელების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დაემატება ახალი ობიექტური გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელწოდების აღდგენა ან შეცვლა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც მომხსენებელმა განმარტა, წესის მიღების მომენტში სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზების მომზადება-დამუშავებას იყო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, თუმცა ცვლილებების განხორციელების შემდგომ დღეს იგივე უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, შესაბამისად წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს აღნიშნული ტექნიკური უზუსტობის შესწორებასაც. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წესში გაჩნდება ახალი ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მერიის შესაბამისი სამსახურისთვის აბრების დამზადება-მონტაჟის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების ჩამონათვალის მიწოდებისა და აბრების განთავსების პროცესზე მონიტორინგის საკითხს.


მომხსენების მიწურულს, ლევან აბაშიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე დადგენილების პროექტის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ, წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

7. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, ზურაბ ზითანიშვილს საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №76-ის მიმდებარედ არსებული 70 კვ.მ. უძრავი ქონება. ოქმის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მშენებლობის უფლების გარეშე“. ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „იმედი 2“. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ქონებაზე, მისი განკარგვის დროს (2011 წელს) ვრცელდებოდა ფუნქციური ზონა - სამრეწველო ზონა (ს-1), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ქონებაზე გავრცელდა ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).


მარიამ კვერნაძის განმარტებით, 2024 წლის 10 ივნისს დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ პრივატიზებული ქონების ტერიტორიაზე არ გეგმავს შენობის ან მისი ნაწილის განთავსებას, თუმცა სურს მიწის ნაკვეთის ეს ნაწილი გამოყენებულ იქნას მასთან გაერთიანებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთის სამშენებლო კოეფიციენტების გაანგარიშებისას. შესაბამისად, მოთხოვნილ იქნა არსებული პირობის („მშენებლობის უფლების გარეშე“) ცვლილება.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირობა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მშენებლობის უფლების გარეშე. სხვა მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემთხვევაში, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, სამშენებლო კოეფიციენტების (კ-1, კ-2, კ-3) საანგარიშო ფართობის დათვლისას გათვალისწინების უფლებით. არსებული სერვიტუტის შენარჩუნების პირობით“.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 10 ოქტომბრის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას (მასზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვის გათვალისწინებით) და შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში განსაზღვრული (შეცვლილი) პირობით ამავე ქონების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 41,020 ლარს, რომლის გადახდაც დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, წარმოდგენილი განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და დაინტერესებული პირის თანხმობის გათვალისწინებით, ქალაქ



თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების და პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, ასევე პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

8. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 ნოემბრის №24.1917.2155 განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, ზემოხსენებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შპს „ლოჯიკ გრუპის“ გათავისუფლებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2007 წლის 8 მაისს გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მმართველ კომპანიას, 30 წლის ვადით, მართვის უფლებით გადაეცა შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი და დაეკისრა რიგი ვალდებულებების განხორციელება, მათ შორის:

- 2007 წლის 1 სექტემბრამდე, სპორტის სასახლის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სასახლის აღჭურვა „ფიზა“-ს სტანდარტებით გათვალისწინებული საჭირო მოწყობილობებით, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად (ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტი);
- 2007 წლის 1 სექტემბრიდან, 8 თვის ვადაში სპორტის სასახლის კონსტრუქციული შემოწმება და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე (შენობა-ნაგებობის საინჟინრო მდგომარეობის გათვალისწინებით), საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინვესტიციების განხორციელება (ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტი);



- არანაკლებ 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკით (ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტი):
- არანაკლებ 2,000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი - 2007 წლის 1 სექტემბრამდე;
- ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის ვადაში.


მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში 2016 წლის 27 ივლისს შეტანილი ბოლო ცვლილების თანახმად, მმართველ კომპანიას ინვესტიციის დარჩენილი ნაწილის განხორციელებისათვის ვადა განესაზღვრა 2017 წლის 1 სექტემბრამდე, იმ პირობით, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით, განახორციელებდა სპორტის სასახლის გარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწესრიგებას და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობას დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2017 წლის 25 დეკემბრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 30 მაისის დასკვნის თანახმად, მმართველი კომპანიის მიერ 2018 წლის 19 აპრილის მდგომარეობით ინვესტიციის სახით გაწეული დანახარჯები შეადგენს მხოლოდ 2,950,390.20 აშშ დოლარს.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ვინაიდან აღნიშნული დასკვნა არ შეიცავდა სრულყოფილ ინფორმაციას ხელშეკრულებაზე დართული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, სააგენტოს 2018 წლის 7 ნოემბრის წერილით, მმართველ კომპანიას კვლავ განესაზღვრა ვადა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დასკვნის წარმოდგენისთვის. ხოლო, სააგენტოს 2019 წლის 8 ნოემბრის წერილით, მმართველ კომპანიას ეცნობა, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მეორე გაფრთხილების მიღების თარიღიდან (07.11.2018წ.) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზრდადი პირგასამტეხლოს (ინვესტიციის სრული მოცულობის 0.02%-ის ოდენობით - 1,000 აშშ დოლარის) დარიცხვის დაწყების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდევინების მიზნით, სააგენტომ 2022 წლის 22 ნოემბერს მიმართა ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლის 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააგენტოს მოთხოვნა, კერძოდ, 2019 წლის 22 ნოემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მმართველ კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის (2,049,609.80 აშშ დოლარი) 0.02%-ის (409.92 აშშ დოლარი) ოდენობით, რაც აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების (08.06.2023წ.) თარიღისთვის შეადგენს 530,846.40 აშშ დოლარს და ზრდადია ყოველდღიურად 409.92 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება როგორც სააგენტოს, ასევე კომპანიის მიერ გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, აღნიშნული საკითხი განხილვის პროცესშია.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მმართველი კომპანიის წერილობითი მომართვის (თან ერთად 2008 წლის შესაბამისი დასკვნა სპორტის სასახლის შენობის კონსტრუქციული მდგრადობის თაობაზე), მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდას შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან 20 წლამდე ვადით (ვადა დაახლოებით გაიზრდება დამატებით 7.5 წლით), ასევე საინვესტიციო ვალდებულების შესრულების მიზნით, ახალი ვადის განსაზღვრას (ცვლილების შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 თვე),



რომლის ფარგლებშიც, მმართველმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სპორტის სასახლის შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სასახლის მოწყობა/აღჭურვა მრავალფუნქციური დანიშნულებით, მათ შორის კალათბურთის მოედნის მოწყობა/აღჭურვა შეთანხმებული სტანდარტის შესაბამისად და უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე (2,950,390.20 აშშ დოლარი) დამატებით, არანაკლებ 4,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის (დღგ-ის გარეშე) განხორციელება. აღნიშნული ინვესტიციის ანგარიშში ასევე ჩაითვლება სპორტის სასახლის მოწყობის/აღჭურვის მიზნით საჭირო მოძრავი ქონების/ინვენტარის შეძენა/მოწყობა/მონტაჟის მიზნით განხორციელებული ინვესტიცია, არაუმეტეს 2,000,000 აშშ დოლარის ოდენობით და იმ პირობით, რომ ასეთი მოძრავი ქონება შპს „სპორტის სასახლისათვის“ გადაცემული იქნება საკუთრების უფლებით.

მომხსენებლის განმარტებით, სპორტის სასახლის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ვინაიდან მნიშვნელოვანია აღნიშნული ობიექტის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცის მოწყობა, მმართველი კომპანია მზადაა, არაუგვიანეს 2025 წლის 1 ოქტომბრისა, შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უზრუნველყოს სარეკრეაციო სივრცის (მათ შორის, პადელის ღია სპორტული 1-დან 4-მდე (საკუთარი შეხედულებისამებრ) კორტის და მსუბუქი კონსტრუქციის კაფის განთავსების მოწყობა) და განახორციელოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა სააგენტოსთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებულ პროექტის მიხედვით.

მომხსენებლისგვე მითითებით, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მმართველი კომპანიის გათავისუფლებას, ასევე ორივე მხარის მიერ სასამართლოს დავის შეწყვეტასა და აღნიშნული დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებებზე უარის თქმას, თუმცა მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ შეთანხმების პირობების თანახმად, თუ კომპანია დაარღვევს სპორტის სასახლის რემონტის, შესაბამისი დანართით განსაზღვრული სარეკრეაციო სივრცის მოწყობის ან/და ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას 6 (ექვსი) თვეზე მეტი ვადით, სააგენტო უფლებამოსილია კომპანიას ერთჯერადად დააკისროს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის (ზრდად) პირგასამტეხლოზე დამატებით 300,000 აშშ დოლარის ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდაც კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მომხსენებლის მიწურულს, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განკარგულებისა და გასაფორმებელი შეთანხმების პროექტების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის, ასევე პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

9. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ შორის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის №24.1945.2193 განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებული 15 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთები, საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად. ხელშეკრულების 5.1 და 5.4 პუნქტების თანახმად, მყიდველმა იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

- 2023 წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიის არანაკლებ 7.5 ჰა ფართობზე პარკის მშენებლობის დასრულება;
- 2023 წლის 31 დეკემბრამდე პარკის მოწყობის მიზნით, არანაკლებ 3,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება;
- ხელშეკრულების 5.1.3 პუნქტის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პარკი ან/და მისი ნაწილი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ამ ხელშეკრულებით, ასევე, მხარეებს შორის 2011 წლის 29 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთს.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, მყიდველის მიერ სააგენტოში წარდგენილი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 21 მაისის დასკვნით დგინდება, რომ მყიდველმა 2018 წლის ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გასწია 3,117,449.93 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია ქ. თბილისში, საცხოვრებელი კომპლექსი „დირსის“ მიმდებარედ, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მდ. მტკვარს შორის მდებარე პარკის მოწყობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის აღჭურვაზე, ხოლო ამავე ექსპერტიზის ბიუროს 2024 წლის 23 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დგინდება, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული პარკის მოწყობის მშენებლობა დასრულებულია და ფუნქციონირებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება შექმნილი პარკის სრული შესაბამისობა ხელშეკრულების 6.2.10-6.2.11 პუნქტებით გათვალისწინებულ ზოგიერთ პირობასთან, რომლებიც ითვალისწინებს პარკის ტერიტორიაზე შესაბამისი ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის არსებობის ვალდებულებებს, კერძოდ, არ დასტურდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორი პუნქტის, კვების პუნქტების და ერთზე მეტი სველი წერტილის (განთავსებულია მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა საპირფარეოსთვის), ერთზე მეტი ქუჩის საათის (განთავსებულია მხოლოდ ერთი საათი) და



დეკორატიული ქოთნის მცენარეების არსებობა. გარდა ამისა, ხელშეკრულებითა და განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ლანდშაფტური მშენებლობის შედეგად, პარკის მშენებლობა/მოწყობა დასტურდება ჯამში 64 296 კვ.მ. ფართობ მიწის ნაკვეთზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ მხარეთა მოლაპარაკების შედეგად, მომზადდა შეთანხმების პროექტი ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად:

- დადასტურდება პარკის პირველი ნაწილის მოწყობა 64 296 კვ.მ. ფართობზე;
- პარკის მეორე (დარჩენილი) ნაწილი - 10 704 კვ.მ. ფართობზე დასრულდება შეთანხმების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში;
- საბანკო გარანტია შემცირდება 57,000 აშშ დოლარამდე - მოწყობილი პარკის ტერიტორიის პროპორციულად;
- პარკის მეორე ნაწილი ასევე შეიძლება მოეწყოს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის შეძენილი მუნიციპალიტეტთან 2011-2012 წლებში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე - შესაბამისი პირობების გათვალისწინებით;
- უქმდება პარკის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირობა: მათ შორის, სასწრაფო დახმარების პუნქტები და კვების ობიექტები;
- მხარეები თანხმდებიან, რომ პარკის მოვლა-პატრონობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის ოფცია ამოქმედდება 2026 წლის 23 სექტემბრიდან (ექსპერტიზის დასკვნით პარკის მოწყობის დადასტურების თარიღიდან 2 წლის შემდგომ);
- კომპანიას სრულად ეპატიება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელიც 2024 წლის 18 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 969,000 აშშ დოლარს და ზრდადია (01.01.2024 წლიდან) 3,000 აშშ დოლარით ყოველდღიურად - შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პრეამბულის, ასევე პირველი და მე-2 პუნქტების მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორტს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ“ პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:



„ბ“ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თაბორი რიზორტს“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 297 576 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საპრივატიზებო საფასურის სახით 6,326,495 ლარად. ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებად განისაზღვრა:

- სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 თვის ვადაში, არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 კვ.მ.;
- სასტუმრო კომპლექსისთვის არანაკლებ 50 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე, პროექტის ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში 2022 წლის 2 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა - არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბერი.

მომხსენებლის მითითებით, 2024 წლის 2 ოქტომბერს დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და განმარტა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, განხორციელებულია/ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- დასრულებულია მთლიანი ტერიტორიის და 9 გოლფის მოედნის კეთილმოწყობა (შესაბამისი სათამაშო სივრცეების მოწყობის, გამწვანების, სარწყავი სისტემის და მოვლა-პატრონობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ჩათვლით);
- ტერიტორიაზე დარგულია 15 000 ძირი ხე, მიმდინარეობს მათი მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელი სამუშაოების სრული ციკლი;
- დასრულებულია სასტუმროს მშენებლობის რკინა-ბეტონის ნაწილი, ფასადის დათბუნება-იზოლაცია და მოპირკეთება, აქტიურად მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, სრულად დამუშავებულია ყველა ტიპის საპროექტო და დიზაინერული გადაწყვეტა, შექმნილია სასტუმროს ამოქმედებისთვის აუცილებელი ავეჯის და ინვენტარის 90%-ზე მეტი;
- ასევე, მიმდინარეობს სასტუმროს ამოქმედებისთვის აუცილებელი საკადრო შემადგენლობის შერჩევა-მომზადება და მმართველობითი გადაწყვეტილებების დამუშავება მარიოტის ქსელის კიდევ ერთი, გამორჩეული და ქალაქისთვის განსაკუთრებულ ლოკაციაზე მდებარე სასტუმროს გახსნისთვის;
- იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების მიხედვით, აუქციონში გამარჯვებულის ვალდებულებას წარმოადგენდა, მოეწყო სულ მცირე 50 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი და აემენებინა არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო, აღნიშნული ტერიტორიის სრულყოფილად განვითარების მიზნით, აუქციონში გამარჯვებულის განმარტებით, კომპანია უზრუნველყოფს 180 ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას და 177 ნომრიანი, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას, რისთვისაც



ჯამურად იგეგმება 170,000,000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება, საიდანაც უკვე გაწეულია 120,000,000 აშშ დოლარზე მეტი დანახარჯი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების თანახმად, ქვეყანაში კოვიდ-პანდემიით გამოწვეული დროებითი შეფერხებების გათვალისწინებით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობისთვის აუცილებელი საპროექტო გადაწყვეტილებების დამუშავებისა და სამშენებლო მასალების წარმოების მიმართულებებზე, ასევე ლოგისტიკურ პროცესებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, რაც გამოწვეული იყო, როგორც პანდემიით, ასევე უკრაინაში მიმდინარე ომით, რამაც გამოიწვია გარკვეული სამშენებლო მასალების მოწოდების ვადების ზრდა და შესაბამისი გავლენა იქონია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებაზე, პროექტის წარმატებით დასრულებისა და სასტუმრო კომპლექსის ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით, მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულების „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 1 წლით გაგრძელება - 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილების 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - „სააგენტო“) და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 2,094.14 ლარის ოდენობით) და ასევე, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან (ყოველ დარღვევაზე 1,000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე) შპს „სითი ბოქსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებული იჯარის ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) საფუძველზე, მოიჯარეს იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაეცა 30 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე, ჯამურად - 240 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რეტერატ(ებ)ის (საზოგადოებრივი საპირფარეშო) განთავსებისა და ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მათი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. საიჯარო ქირის საფასური 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განისაზღვრა 107.6 ლარის ოდენობით (ჯამურად - 25,824 ლარი).

მარიამ კვერნაძის განმარტებით, 2022 წლის 6-11 აპრილს, სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევები (რიგ ლოკაციებზე საერთოდ არ იყო განთავსებული ან განთავსებული იყო ტექნიკურად გაუმართავი რეტერატი). აღნიშნულის თაობაზე დეტალური ინფორმაცია ადგილზე დათვალიერების ოქმთან ერთად, სააგენტოს 2022 წლის 14 აპრილის და 2023 წლის 28 მარტის წერილებით ეცნობა მხარეს და განესაზღვრა დამატებითი ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, ამავე წერილებით მოიჯარეს განემარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულების 3.7 პუნქტის თანახმად ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ დარღვევაზე - 1,000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დენაც გრძელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მომხსენებლისგე მითითებით, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი წერილებით დადგინდა, რომ ეტაპობრივად განხორციელდა რიგი ტექნიკურად გაუმართავი რეტერატების აღდგენა და ასევე, წარმოდგენილი იქნა ხარვეზის აღმოსაფხვრის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (ვიდეომასალა), თუმცა რეტერატების ნაწილზე კვლავ აღმოსაფხვრელი დარჩა ტექნიკური გაუმართაობა, რაც მოიჯარეს განმარტებით, გამოწვეული იყო მათგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებებით, კერძოდ, ვანდალიზმის შემთხვევებით.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, 2023 წლის 5 მაისს, დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადებით, მოთხოვნილ იქნა დედაენის პარკის ტერიტორიაზე და მ/ს „ავლაბრის“ მიმდებარედ არსებულ ობიექტებზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სარგებლობის უფლების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ მისამართებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რეტერატები განთავსებული იყო უფუნქციოდ. ამასთანავე, დაინტერესებულმა პირმა 2024 წლის 12 აპრილის განცხადებით კვლავ მიმართა სააგენტოს და ითხოვა ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ პროექტის განხორციელების დღიდან კომპანია განიცდიდა სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, რაც ყოველთვიურად საჭიროებდა ინვესტიციის გაზრდას, რისი ფინანსური რესურსიც კომპანიას არ გააჩნდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლის განმარტებით, სააგენტოს 2024 წლის 23 ივლისის ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 5 მაისიდან შეწყვეტილად იქნა მიჩნეული აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება, დედაენის პარკის ტერიტორიაზე და მ/ს „ავლაბრის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე გადაცემული სარგებლობის უფლების ნაწილში, ხოლო 2024 წლის 12 აპრილიდან სრულად შეწყდა იჯარის ხელშეკრულება.

მომხსენებლისგე მითითებით, სააგენტოს 2024 წლის 26 ივლისის წერილით შპს „სითი ბოქსს“ გაეგზავნა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ამავე ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საიჯარო ქირის დავალიანებისა და მისი გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ ინფორმაცია და განესაზღვრა 1 თვიანი ვადა არსებული ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად; გარდა ამისა, განმეორებით ეცნობა ხელშეკრულების 3.7



პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ თითოეულ შესაბამის ადგილზე 2022 წლის 6-11 აპრილს, ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით დათვალიერების განხორციელების დღიდან დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ, ყოველ დარღვევაზე, 1,000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დენაც გაგრძელდა ხელშეკრულებით გადაცემული სარგებლობის უფლების სრულად შეწყვეტამდე (12.04.2024წ).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დაინტერესებულმა პირმა 2024 წლის 13 აგვისტოს განცხადებით, სააგენტოში წარმოადგინა ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღით (12.04.2024წ) არსებული საიჯარო ქირის დავალიანების (ჯამურად - 10,191.59 ლარის ოდენობით) სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და იმ საფუძველით, რომ კომპანია პროექტის განხორციელების პერიოდში განიცდიდა სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთების და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, ითხოვა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოებისგან გათავისუფლება.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

12. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, ითვალისწინებს დღის წესრიგის მე-11 საკითხის იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 1,630.00 ლარის ოდენობით) და ასევე, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან (ყოველ დარღვევაზე - 100 ლარის ოდენობით) შპს „სითი ბოქსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაეცა ჯამში 48.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რეტერატ(ებ)ის (საზოგადოებრივი საპირფარეშო) განთავსებისა და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მათი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. საიჯარო ქირის საფასური ჯამურად განისაზღვრა 5,340 ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, 2022 წლის 18 აპრილს და 2023 წლის 5 მაისს, დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადებით, მოთხოვნილ იქნა სანდრო ეულის ქუჩაზე არსებულ ობიექტზე სარგებლობის უფლების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ



ლოკაციაზე რეტერატი განთავსებული იყო უფუნქციოდ, ვინაიდან არ მიეწოდებოდა წყალი. ამასთანავე, დაინტერესებულმა პირმა 2024 წლის 12 აპრილის განცხადებით კვლავ მიმართა სააგენტოს და ითხოვა ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ პროექტის განხორციელების დღიდან კომპანია განიცდიდა სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, რაც ყოველთვიურად საჭიროებდა ინვესტიციის გაზრდას, რისი ფინანსური რესურსიც კომპანიას არ გააჩნდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა დასძინა, სააგენტოს 2024 წლის 23 ივლისის ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 5 მაისიდან შეწყვეტილად იქნა მიჩნეული აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება, სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე გადაცემული სარგებლობის უფლების ნაწილში, ხოლო 2024 წლის 12 აპრილიდან სრულად შეწყდა იჯარის ხელშეკრულება.

მომხსენებლისვე მითითებით, სააგენტოს 2024 წლის 26 ივლისის წერილით შპს „სითი ბოქსს“ გაეგზავნა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ამავე ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საიჯარო ქირის დავალიანებისა და მისი გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ ინფორმაცია და განესაზღვრა 1 თვიანი ვადა არსებული ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად; გარდა ამისა, განმეორებით ეცნობა ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ თითოეულ შესაბამის ადგილზე 2022 წლის 6-11 აპრილს, ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით დათვალაიერების განხორციელების დღიდან დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ, ყოველ დარღვევაზე, 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დაინტერესებულმა პირმა 2024 წლის 13 აგვისტოს განცხადებით, სააგენტოში წარმოადგინა ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღით (12.04.2024წ) არსებული საიჯარო ქირის დავალიანების (ჯამურად - 2 924,57 ლარის ოდენობით) სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და იმ საფუძველით, რომ კომპანია პროექტის განხორციელების პერიოდში განიცდიდა სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, ითხოვა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოებისგან გათავისუფლება.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.


აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 ნოემბრის N24.1833.2070 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



13. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (476,000 ლარის ოდენობით) შპს „არომას“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ივლისის N22.1124.1206 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N359 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება და 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის მიხედვით, კომპანიამ სამშენებლო პროექტი უნდა განახორციელოს 3 ლოტად (3 შენობა-ნაგებობად), ხოლო შენობა-ნაგებობების სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის სრულად მოპოვება უნდა უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 23 აგვისტოსა. საბოლოოდ, კომპანიამ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის:

- „ა“ ბლოკზე/ლოტზე მშენებლობის ნებართვა მოიპოვა 2024 წლის 10 იანვრის ბრძანებით;
- „ბ“ ბლოკზე/ლოტზე - 2023 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით;
- „ც“ ბლოკზე/ლოტზე - 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ, „ა“ ბლოკზე/ლოტზე ბოლო სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივი მდგომარეობით მოპოვებამდე (2024 წლის 10 იანვარი) დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულება 140 (ას ორმოცი) დღით (2023 წლის 24 აგვისტოდან - 2024 წლის 10 იანვრამდე) და ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 280,000 ლარს.

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა; კერძოდ, არქიტექტურულ პროექტზე მუშაობის დაწყების პერიოდში, კანონმდებლობა ითხოვდა პროექტში სახანძრო მანქანების სამომხრავო სქემის გათვალისწინებას, რაც შესრულებულ იქნა კომპანიის მიერ, თუმცა აღნიშნული რეგულაცია მალევე გაუქმდა, რის გამოც საჭირო გახდა პროექტის სრულად კორექტირება და აღნიშნულმა პროცესმა გავლენა მოახდინა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკზე.




ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის ვრცელ ნაწილს ჰკვეთს მდინარის კოლექტორი და მის ნაწილზე ვრცელდება მდინარის წყალდაცვითი ზონა (აღნიშნული აგრეთვე, დასტურდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საიტზე (tas.ge) განთავსებული ინფორმაციითაც). მდინარის კოლექტორისა ან/და წყალდაცვითი ზონის კონფიგურაცია/არეალი საჭიროებდა დაზუსტებას, რაც ხორციელდებოდა შპს „თბილსერვის ჯგუფთან“ შეთანხმებით, შეზღუდვის არელების დაცვით. ამასთანავე, კომპანიას უნდა უზრუნველყო ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე ე.წ. „წორწორას“ მშრალი ხევის შემდგომი მოწყობისა და საპროექტოდ მომზადებისთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში რეკულტივაციის პროექტის მომზადება/შეთანხმება, რასაც, კომპანიის განმარტებით დაახლოებით 6 (ექვსი) თვე დასჭირდა. გარდა ამისა, კომპანიამ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების ნაწილს ჰკვეთდა შპს „თბილისი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული საშუალო წნევის გაზსადენი. კომპანიის განმარტებით, მათ განცხადებით მიმართეს შპს „თბილისი ენერჯის“, თუმცა არ მოხდა დადგენილ ვადებში პასუხის მიღება.

მარიამ კვერნაძემ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებაზეც ისაუბრა, რომლის თანახმადაც, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე, კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია (ე.წ. „განშლა“) და შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში ანუ 2024 წლის 10 იანვრიდან - (არაუგვიანეს 2024 წლის 10 აპრილის ჩათვლით). კომპანიამ დადგენილ ვადაში მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიზნით; კერძოდ:

- „ა“ ბლოკზე მშენებლობის ნებართვა გაიცა 2024 წლის 10 იანვრის ბრძანებით, ხოლო, საჯარო რეესტრს მიმართა 2024 წლის 24 იანვრის განცხადებით;
- „ბ“ ბლოკზე სამშენებლო ნებართვა გაიცა 2023 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით, ხოლო საჯარო რეესტრის მიმართა 2024 წლის 8 თებერვლის განცხადებით;
- „ც“ ბლოკზე მშენებლობის ნებართვა გაიცა 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით, ხოლო საჯარო რეესტრს მიმართა 2024 წლის 18 მარტის განცხადებით.

მომხსენებლის მითითებით, 2024 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 17 ივლისამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრ(ებ)ის სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ბოლო ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 98 (ოთხმოცდათვრამეტი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის ხელშეკრულების შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 196,000 ლარს. შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად 476,000 ლარით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ასევე გამოწვეულ იქნა ობიექტური გარემოებებით; კერძოდ, საჯარო რეესტრის საქმისწარმოებ(ებ)ის ფარგლებში, კომპანიის მიმართ დადგენილ იქნა არაერთი ხარვეზი. კომპანია აღნიშნავს, რომ საბოლოოდ, საჯარო რეესტრს 2024 წლის 3 ივნისის განცხადებით წარედგინა მის მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტი (მათ შორის, განშლის ოქმი წარმოდგენილი საჯარო აქტის სახით და ხელშეკრულების ყველა წევრის თანხმობა) და შესაბამისი განცხადების განხილვა დასრულდა და ე.წ. განშლის რეგისტრაციის ამონაწერი მომზადდა 2024 წლის 18 ივნისს. თუმცა, კოოპერატივ(ებ)ის უფლებამონაცვლე ამხანაგობის წევრთა სამომავლო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერების გაცემის თაობაზე, საჯარო რეესტრს მიმართა ინდივიდუალურად ყველა ფართზე ცალ-ცალკე.



აღნიშნულზე კვლავ დადგინდა არაერთი ხარვეზი და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ შესაბამის პირებზე, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები საბოლოოდ მომზადდა 2024 წლის 17 ივლისს.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „არომას“ გათავისუფლების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დამატების, ასევე პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათი უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დილოში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 სექტემბრის N22.1326.1366 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N433 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისათვის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება და 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.




მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის მიხედვით, შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება კომპანიას უნდა განეხორციელებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 19 ივნისამდე. შესაბამისად, 2023 წლის 19 ივნისიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე (სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად აღებამდე) გასულია 72 (სამოცდათორმეტი) დღე, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 216,000 ლარს ($72 \times 3000=216\ 000$).

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა; კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ კომპანიამ 2023 წლის 7 მარტს განცხადებით მიმართა არქიტექტურის სამსახურს, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით, რომელზეც ამავე სამსახურის 2023 წლის 17 ივლისის ბრძანებით გაიცა თანხმობა არქიტექტურულ პროექტზე. როგორც კომპანიამ წარმოდგენილ განცხადებებში განმარტა, არქიტექტურულ პროექტზე მუშაობის დაწყების პერიოდში, კანონმდებლობა ითხოვდა პროექტში სახანძრო მანქანების სამომრავო სქემის გათვალისწინებას, რაც შესრულებულ იქნა კომპანიის მიერ, თუმცა აღნიშნული რეგულაცია მალევე გაუქმდა, რის გამოც საჭირო გახდა პროექტის სრულად კორექტირება და აღნიშნულმა პროცესმა გავლენა მოახდინა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკზე. ამასთანავე, კომპანიას პროექტის კორექტირება მოუწია პარკინგების მოწყობის ნაწილშიც, მას გათვალისწინებული ჰქონდა მიწისზედა პარკინგები, თუმცა, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნა პარკინგების მოწყობა მიწისქვეშ, რამაც პროექტში არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია და დაიხარჯა დამატებითი დროის რესურსი. აღნიშნულის შესაბამისად, კომპანიას მოუწია მთლიანი არქიტექტურული პროექტისა და ასევე, სატრანსპორტო სქემების ცვლილებაც.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ კომპანიამ არქიტექტურის სამსახურს სამშენებლო ნებართვის გაცემის თაობაზე მოთხოვნით მიმართა 2023 წლის 18 ივლისის განცხადებით, თუმცა სამშენებლო ნებართვა გაცემულ იქნა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით. ამავდროულად, სამშენებლო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არქიტექტურის სამსახურმა რამდენიმე დღის დაგვიანებით გასცა მშენებლობის ნებართვის ბრძანება და მითითებული გარემოებების გათვალისწინებით დაირღვა ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომპანიამ 2023 წლის 5 ივნისს, სამშენებლო ნებართვის მოპოვების ვადის გასვლამდე, წერილობით აცნობა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული ობიექტური გარემოებების თაობაზე, რომლის გამოც ვერ ხდებოდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობის ნებართვის აღება და ითხოვა ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდა 2 (ორი) თვით, 2023 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით. გარდა ამისა, სააგენტოში 2024 წლის 20 აგვისტოს წარმოდგენილი განცხადებით, კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, 2024 წლის 19 აგვისტოდან 2024 წლის 30 აგვისტომდე პერიოდზე (11 (თერთმეტი) დღე) დასაკისრებელი პირგასამტეხლოს (33,000 ლარი) გადახდაზე.

მარიამ კვერნაძემ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებაზეც ისაუბრა, რომლის თანახმადაც, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 30




აგვისტოდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 30 ოქტომბრამდე. შესაბამისად, 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 10 იანვრამდე (ე.წ. ცალკეული ინდივიდუალური ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 72 (სამოცდათორმეტი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ასევე 216,000 ლარს. შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად 432,000 ლარით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ვინაიდან კომპანიის მიერ გამოთქმულია მზადყოფნა, 2024 წლის 19 აგვისტოდან 2024 წლის 30 აგვისტომდე პერიოდზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს, 33,000 ლარის გადახდაზე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს კომპანიის გათავისუფლებას დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ჯამურად 399,000 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ასევე გამოწვეულ იქნა ობიექტური გარემოებებით; კერძოდ, კომპანიამ საჯარო რეესტრს მშენებარე ინდივიდუალურ უძრავ ნივთებზე ე. წ. „განშლის“ რეგისტრაციის მოთხოვნით ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით მიმართა 2023 წლის 5 ოქტომბრის განცხადებით, თუმცა, საჯარო რეესტრის მიერ კომპანიის მიმართ დადგენილ იქნა არაერთი ხარვეზი, მათ შორის საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულების მხარეთა: ყოფილი კოოპერატივის წევრების უფლებამონაცვლეთა უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (სამკვიდრო მოწმობა) წარდგენა. ამასთანავე, ამავე გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის მიერ კომპანიისადმი მოთხოვნილ იქნა კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისი ფართების განაწილების კორექტირებული დოკუმენტის წარდგენა, სადაც სართულები, ფართების დანიშნულება და ფართობები, ნომრები მითითებული იქნება პროექტის სართულის გეგმებზე არსებული მონაცემების შესაბამისად და განისაზღვრება ყოფილი კოოპერატივის წევრებზე გადასაცემი ფართები. აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის მომზადებას დასჭირდა გარკვეული ვადა. ამასთან, საჯარო რეესტრმა რამდენიმე განცხადებაზე გამოიყენა დადგენილ 4 (ოთხი) დღიან ვადაზე მეტი და კანონმდებლობის შესაბამისად, გაახანგრძლივა განაცხადის განხილვის ვადა. საბოლოოდ, საჯარო რეესტრის მიერ განცხადების განხილვა დასრულდა და ე.წ. განშლის რეგისტრაციის ამონაწერი მომზადდა 2023 წლის 6 დეკემბერს. თუმცა, კოოპერატივ(ებ)ის უფლებამონაცვლე ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერების გაცემის თაობაზე, საჯარო რეესტრისადმი მიმართულ იქნა ინდივიდუალურად, საჯარო რეესტრის პრაქტიკისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, რის ორგანიზებასაც, ასევე, გარკვეული დრო დასჭირდა და იგი არ იყო დამოკიდებული მხოლოდ კომპანიაზე, არამედ უშუალოდ კოოპერატივის წევრებზე. შესაბამისად, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები საბოლოოდ მომზადდა 2024 წლის 10 იანვარს.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ე.წ. „განშლის“ საფუძველზე რეგისტრირებული მშენებარე ცალკეული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები არ არის შესაბამისობაში ხელშეკრულების 3.8. პუნქტთან, რომლის მიხედვითაც აიგნის ფართი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირისათვის გადაცემული ინდივიდუალური ფართის 10%-ს, თუმცა კომპანიის მიერ 2024 წლის 13 მარტის განცხადებით წარმოდგენილია ნოტარიული წესით დამოწმებული დოკუმენტი/თანხმობა, რომლის მიხედვითაც კოოპერატივის წევრები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნული გარემოების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, არ გააჩნიათ/არც მომავალში წარმოემშვებათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება ქ.



თბილისის მუნიციპალიტეტის/სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კომპანიის მიმართ, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „ინვესტ მშენ 1“-ის გათავისუფლების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამაროვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N2ა-ში მე-13 სართულზე მდებარე 84.5 კვ.მ. ფართობის N115 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მე-10 სართულზე მდებარე 50.4 კვ.მ. ფართობის N121 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე დალი დადვანისთვის, თამარ ჯამდელიანისთვის, ლერი ჯამდელიანისთვის და ნინო ჯამდელიანისთვის თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 8 აგვისტოს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 87 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა - დალი დადვანმა, თამარ ჯამდელიანმა, ლერი ჯამდელიანმა და ნინო ჯამდელიანმა და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 339,561 ლარის ოდენობით.



მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2024 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 212,856 და 124,286 ლარის ოდენობით (ჯამურად: 337,142 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ოქტომბრის N24.1691.1913 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის 1.1 პუნქტში ქონების შემძენი ერთ-ერთი პირის - ლერი ჯამდელანის გვარის სწორად მითითების, ასევე განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში, „ა“ ბლოკი, მე-11 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ. ფართობის N110 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარე, I ბლოკის მე-2 სართულზე მდებარე 65.40 კვ.მ. ფართობის N2 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ია ჯამბურასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 26 ივლისს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 87 კვ.მ. ფართის მესაკუთრემ - თეა ჯამბურამ და თანხმობა განაცხადა აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.



როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ზინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდენციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 339,561 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის და 2024 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 189,968 და 145,646 ლარის ოდენობით (ჯამურად: 335,614 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პროცესის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და ამავე პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

17. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში, პირველ სართულზე არსებული 14.91 კვ.მ. ფართის და პირველ სართულზე მდებარე 5.69 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ზაირა მარგიანისთვის პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:



- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 20 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ნოტარიულად დამოწმებული ოქმით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზაირა მარგიანის ოჯახის წევრს დათო მარგიანს საკუთრებაში ერიცხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ წყალტუბოში 727 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი; დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის N24.1725.1934 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის 2.1 პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. N31-ში მე-3 სართულზე 86.40 კვ.მ ფართობის N1 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მე-5 სართულზე მდებარე 58.90 კვ.მ. ფართობის N29 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მე-10 სართულზე მდებარე 58.70 კვ.მ. ფართობის N73 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ტიერი ბერიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 3 სექტემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის



მესაკუთრის - ტიერი ბერიშვილის მინდობილმა პირმა ნათელა მაისურაძემ და თანხმობა განაცხადა აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 412,156.8 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 169,171; 119,920 და 122,566 ლარის ოდენობით (ჯამურად: 411,657 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პროცესის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და ამავე პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 39 კვ.მ. ფართობის N17 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლალი ქვრივიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა საკითხის წარდგენა იმ ფაქტობრივი გარემოებების აღნიშვნით დაიწყო, რომლებმაც განაპირობეს წინამდებარე განკარგულების პროექტის შემუშავება, კერძოდ:



- ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 18 იანვრის N02.78.143 გადაწყვეტილებით, ნუნუ (ნინა) ქვრივიშვილს, საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, გამოეყო ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების II მიკრორაიონის 35-ე კორპუსის (ე.წ. „წითელი აგურების კორპუსი“) I სადარბაზოს II სართულზე მდებარე 17.77 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი ბინა;
- უფლების დამდგენი დოკუმენტების გამოცემის დროისთვის, „წითელი აგურების კორპუსები“ იყო მშენებარე მდგომარეობაში, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ აღნიშნულ კორპუსებში თვითნებურად შესახლებულმა ფიზიკურმა პირებმა უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართები დაიკავეს, რის გამოც დაინტერესებულ პირთათვის მათთვის გამოყოფილი ფართების საკუთრებაში გადაცემა ვერ განხორციელდა.

როგორც მარიამ კვერნაძემ განმარტა, ნუნუ (ნინა) ქვრივიშვილის მემკვიდრე ლალი ქვრივიშვილმა წერილობითი განცხადებებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ არსებული, 39 კვ.მ. ფართობის N17 ბინის საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას და აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობას.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოხსენის:

20. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 264.90 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ვალია სიხარულიძისთვის, ვალიდა შონიასთვის, მარინა აბშილაგასთვის, ნინო გობეჯიშვილისთვის, ნათია ოხანაშვილისა



და სოფიო ბოჭორიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ვალია სიხარულიძეს გადაეცემა 30 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ვალიდა შონიას 67.47 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, მარინა აბშილაგას 8.56 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ნინო გობეჯიშვილს 54.25 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ნათია ოხანაშვილს 61.57 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ხოლო სოფიო ბოჭორიშვილს 43.05 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება გადაეცემა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევს თხოვნით მიმართეს ნამალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები 1999-2012 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნამალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირთა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიაძის ქუჩა N8-ში, შენობა N2-ში, მე-2 სადარბაზოს მე-3 სართულზე არსებული 151.33 კვ.მ. ფართობის ბინა N29-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ხათუნა რუხაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევს თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:



- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2006 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საბურთალოს რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში, პირველ სართულზე არსებული 37.05 კვ.მ ფართობის ბინა N2-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ეკატერინე ქოჩორაშვილისთვის პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2005 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N3-ში პირველ სართულზე არსებული 38.90 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე თინა ხარებოვასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:


- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 1987-1988 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში, პირველ სართულზე არსებული 43.08 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე თორნიკე არღვლიანისთვის პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2017 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ისნის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში თორნიკე არღვლიანი რეგისტრირებული არ არის;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.


მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მე-7 სართულზე მდებარე 88.2 კვ.მ. N56 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მე-3 სართულზე მდებარე 71.49 კვ.მ N2 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,



მოქალაქე ნიკოლოზ კინტრაიასთვის და ნუცა ჩხაიძისთვის თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 14 მაისს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა - ნიკოლოზ კინტრაიამ და ნუცა ჩხაიძემ და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავი ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 412,156.8 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 253,222 და 158,636 ლარის ოდენობით (ჯამურად: 411,858 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარიამ კვერნაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32, შენობა N9-ში, პირველ სართულზე არსებული 25.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით,



პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე სოფიო ბუჭყურაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი წამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2009 წლიდან. ცხოვრების ფაქტის წამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 48.80 კვ.მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ზურაბი ბელქანიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ დაინტერესებული პირი წამდვილად ცხოვრობს 2004 წლიდან აღნიშნულ მისამართზე.



ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში, მე-3 სართულზე არსებული 17.07 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნონა კოპაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2000 წლიდან დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ნონა კოპაძე და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებული არ არიან;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.



მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

47. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა, რომლის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დაინტერესებულ პირს 2009 წლის 18 დეკემბრის „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღწავლის უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღწავლის ფორმით, 2024 წლის 24 დეკემბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. ამასთანავე, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.



მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 აგვისტოს დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 576 ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, მე-2 და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

48. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეორევე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 060 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=7.0-მდე, რაც გულისხმობს 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 მაისის ბრძანებით მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო



მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 3 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3,481,048 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 7.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 3,481,048.00 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=7.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 3,481,048.00 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

49. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,



მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 9 354 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე, რაც გულისხმობს 27 (ოცდაშვიდი) და 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას (შეთანხმებულ მოცულობაზე საცხოვრებელ ბლოკზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატება და საოფისე ბლოკზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატება); ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N556 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.2). ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის პირველი მაისის ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.2).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 27,614,287 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 23 სექტემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.2-დან 4.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,314,966.05 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,314,966.05 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;



- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

50. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.1-მდე, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ძირითადად ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის. ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 თებერვლის და 11 ივნისის ბრძანებებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2,084,045 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 357,264.86 ლარს.


მოხსენების მიწურულს, წინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 357,264.86 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

51. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ.15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 7 (შვიდი) სართულიანი შენობის განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 თებერვლის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის (კ-2=1.5).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საზაზრო ღირებულება 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 531,513 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 13 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 354,342 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემომხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.5-მდე;



- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 354,342 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

52. წინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის I მ/რ, კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 19 160 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს ორი 18 (თვრამეტ) სართულიანი და ერთი 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.



ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (კ-2=2.5).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 14,479,735 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2,895,947 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:


- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე.
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 2,895,947 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის



გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეოს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

53. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 6 040 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.1-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე (ორი ბლოკი) სამი და ორი სართულის დამატებას; ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (კ-2= 2.5). ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი; „ბ“ ბლოკი) არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7,225,973 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 18 ნოემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,734,233.52 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.1-მდე.



- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,734,233.52 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთანავე, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

54. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 63-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 867 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების



ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.4-დან კ-2=5.4-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 11 სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.


ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.4) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის განკარგულებით გაცემულია თანხმობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით (კ-2=5.4), დაინტერესებული პირის მიერ დადგენილ ვადაში თანხის გადახდა არ განხორციელდა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 16 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1,276,617 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.4-დან 5.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 290,140.23 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 4.4-დან 5.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 290,140.23 ლარის გადარიცხვა განხორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;



- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

55. წინა ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შპს „საბურთალოს“ და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან:

„ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 15,4-ით (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0,9-ით (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);

გ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);



დ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფუნქცია განისაზღვროს არაუმეტეს 81%-ით. ამასთან, სამშენებლო ობიექტი გათავისუფლდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16¹ და 16² მუხლებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებისგან;

ე) ახალაშენებული შენობა-ნაგებობის სართულების რაოდენობა, არასრული სართულის ჩათვლით განისაზღვროს არაუმეტეს 27 სართულისა. ამ 27 სართულიდან: 4 სართული უნდა იყოს კომერციული/საოფისე დანიშნულების ფართები, 1 სართული უნდა იყოს არასრული სართული (საინჟინრო კომუნიკაციების ქსელებისა და აგრეგატებისთვის). ამასთან არასრული სართულის გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად), 22 სართული უნდა იყოს საცხოვრებელი დანიშნულების ფართები;

ვ) ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 153 ერთეულით;

ზ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;


თ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისაგან გათავისუფლებით;

ი) განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით;

კ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საფასადაე სიბრტყეზე განთავსებული საფასადაე დეტალებისა და აივნების ტროტუარზე არაუმეტეს 1.5 მეტრის ოდენობით გადმოსვლის შესაძლებლობით;

ლ) თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით არსებული კლიენტთა სიის, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 4 აგვისტოს N17 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიები, შპს „მარიჯანის“ (ს/კ 205064712), შპს „გეითევი ჰოლდინგის“ (ს/კ 204531499) ან/და შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიერ;

მ) შესაბამის მესაკუთრეთა თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში წარდგენილ იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ეტაპზე.“



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის მიხედვით ძალადაკარგულად ცხადდება:

ა) „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2-ში (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N361 განკარგულება;

ბ) „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2 (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N670 განკარგულება.

წინო ვარდოსანიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - „კომისია“) წერილობითი განცხადებებით მიმართეს შპს „საბურთალომ“ და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ და მოითხოვეს, მისამართზე: ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებული (ფაქტობრივად განახლებული) ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება.

მომხსენებლის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ამასთანავე, აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიება ფაქტობრივად გამოხატავს დაზარალებულებისათვის საჭირო შესაბამისი ფართების ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისით განსაზღვრას, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია: მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (24.1785.2010, 23.10.2024) განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.


აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



56. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შპს „იქსორი წერეთელზე 2“-ის მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან:

- „შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაცივს მშენებლობის ნებართვა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფუნქცია განისაზღვროს არაუმეტეს 95%-ით. ამასთან, სამშენებლო ობიექტი გათავისუფლდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16¹ და 16² მუხლებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებისგან.“

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადებით, მოთხოვნილ იქნა მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N621, 19.12.2023) ზემოაღნიშნული დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, ფაქტობრივი მდგომარეობით, დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის (შემდგომში - „კომისია“) აპარატის მიერ დადასტურებული იქნა ფართის სახით გასაცემი ვალდებულება - ჯამურად 8686.9 კვ.მ.-ის ოდენობით, საიდანაც, საცხოვრებელი ფუნქციის მქონე გასაცემი ვალდებულება შეადგენს 6901.9 კვ.მ.-ს, ხოლო კომერციული დანიშნულების გასაცემი ვალდებულება შეადგენს 1785 კვ.მ.-ს. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით 2023 წლის 13 დეკემბრის N23.1904.2103 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N621 განკარგულებებით მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, გადამეტებული (კ-2)-ის გათვალისწინებით, სამშენებლო ობიექტის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი ამ ეტაპზე შეადგენს ჯამურად 64 524 კვ.მ.-ს, საიდანაც, არასაცხოვრებელი/კომერციული ფუნქციის მქონე ფართი მოიცავს მხოლოდ ვალდებულების სახით გასაცემ ფართს 1785 კვ.მ.-ს, რომელიც წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით მოიცავს 2 სართულს. არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით და გასაცემი ვალდებულებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ინვესტორმა გაზარდოს ან შეამციროს არასაცხოვრებელი ფუნქციის მქონე ფართის ოდენობა. ამასთანავე, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართობის პროცენტული თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით: არასაცხოვრებელი - 5%, და საცხოვრებელი 95%.

მომხსენების მიწერულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ამასთანავე, აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიება ფაქტობრივად გამოხატავს დაზარალებულებისათვის საჭირო შესაბამისი ფართების ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისით განსაზღვრას, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N 11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N 19-21 და ქ.



თბილისი ა. წერეთლის გამზირი N23-25, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „იქსორი წერეთელზე 2“-ის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N23.1904.2103.13.12.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულება N621, 19.12.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

57. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოდამეჭვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ბეჟანისძვის ქ. N11-ში მდებარე არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N23.704.786, 17.05.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N221, 19.05.2023), ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „შიზის“ მიერ შესასრულებელი ვალდებულების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლის და ამავე განკარგულებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N221, 19.05.2023) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დარჩენის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) (ოქმი N7; 17.05.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებით რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისში, ბეჟანისძვის ქ. N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და შპს „შიზის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ფარგლებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება (განკარგულება N23.704.786, 17.05.2023) შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N221, 19.05.2023).

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, შპს „შიზის“ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის 782,928 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა უნდა განხორციელებინა ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

მომხსენებლისვე მითითებით, შპს „შიზიმ“ 2024 წლის 21 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინა მის მიერ განხორციელებული გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რომელთა მიხედვითაც, შპს „შიზიმ“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის 782,928 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში, რამაც შეადგინა 2,124,318.54 ლარის გადახდა განახორციელა 257 დღიანი დაგვიანებით, კერძოდ, 2024 წლის 2 აგვისტოს. ამასთანავე, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შპს „შიზის“ მიერ გადახდილ იქნა ჯამურად 276 დღის ვადაგადაცილების საფასური, კერძოდ, 40,263.26 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში, რამაც შეადგინა 108,690.67 ლარი. შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იქნა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 782,929 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის ვალდებულების შესრულებულად ჩათვლა და მისამართზე: ქ. თბილისში, ბეჟანიშვილის ქ. N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშეწყობი ღონისძიებების ძალაში დარჩენა.

მომხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ შპს „შიზის“ ამ ეტაპზე ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად და აღნიშნული კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული თანხის ვადაგადაცილებით გადახდისათვის დასაკისრებელი თანხა კერძოდ, 40,263.26 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (რომელიც ასევე გადახდილია) შესაბამისობაშია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადის განსაზღვრის პრინციპთან და საანგარიშო ფორმულასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N221; 19.05.2023) განსაზღვრული შპს „შიზის“ მიერ შესასრულებელი ვალდებულება - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში - ჩაითვალოს შესრულებულად.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

58. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით



ორმოცდამეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, მუხამის ქ. N 4 და ი. აბაშიძის ქ. N 55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გასატარებელი შემდეგი ღონისძიებების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან:

ა) გასცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირზე - შპს „კადე ოილზე“, ვალდებულების გასტუმრების მიზნით, 80,182.15 ევროს ოდენობით;


ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - გიორგი ბახტაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრული იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხოს 84,788.96 აშშ დოლარი;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - ირმა მჭედლიძის დათმობილი უძრავი ქონების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრული იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხოს 79,460.04 აშშ დოლარი;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შავლეგ ციხელაშვილი;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - შავლეგ ციხელაშვილის დათმობილი უძრავი ქონების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ჩარიცხოს 75,000 აშშ დოლარი;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირზე - დავით ბაჩიაშვილზე გასცეს ფულადი კომპენსაცია 97,825 აშშ დოლარის ოდენობით.



ამასთანავე, აღნიშნული კომპენსაციის გაცემა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას, ამავე პუნქტის საფუძველზე სს „საქართველოს ბანკის“ მიერ საბანკო ვალდებულების მოხსნის შემდეგ, უფლებრივად უნაკლო უძრავ ქონებას საკუთრებაში გადასცემს ირმა მჭედლიშვილს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირს);

ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით გათვალისწინებულ დანართ N6-ს (კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც საჭიროა მოხდეს ვალდებულების გასტუმრება) დაემატოს სს „პაშა ბანკი საქართველო“;

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირების შოთა ჯვარიშვილის, ირაკლი მამულაშვილის, მაია კალანდაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „პაშა ბანკი საქართველო“ ანგარიშზე ჩარიცხოს ჯამურად 174,679.23 აშშ დოლარი მათ შორის:


თ.ა) შოთა ჯვარიშვილის უძრავი ქონების ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველო“ ანგარიშზე ჩარიცხოს 109,192.20 აშშ დოლარი;

თ.ბ) ირაკლი მამულაშვილის უძრავი ქონების ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველო“ ანგარიშზე ჩარიცხოს 18,795.43 აშშ დოლარი;

თ.გ) მაია კალანდაძის უძრავი ქონების ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველო“ ანგარიშზე ჩარიცხოს 46,691.80 აშშ დოლარი.

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37; ქ. თბილისი, მუხადის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N23.2153.2405, 27.12.2023) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N641, 28.12.2023).

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირების მიმართ დგინდება შემდეგი:




- გიორგი ბახტაძემ 2019 წლის 27 აგვისტოს შპს „ათორის დეველოპმენტისგან“ შეიძინა ქ. თბილისში, ცაგარელის ქუჩა N58-ში, მე-10 სართულზე მდებარე 145 კვ.მ. ფართის ბინა 85,000 აშშ დოლარად. გიორგი ბახტაძე დაზარალებულად ცნობილია 85,000 აშშ დოლარის ნაწილში;
- შპს „კადე ოილმა“ 2018 წლის 31 დეკემბერს შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორისგან“ შეიძინა საირმის ქუჩა N37ა/39, კომერციული ფართი 500.0 კვ.მ, აღნიშნული უძრავი ქონების შეძენის მიზნით (რომლის ღირებულებაც იმ დროისთვის შეადგენდა 475,000 აშშ დოლარს) აიღო საბანკო სესხი - 490,000 აშშ დოლარის ოდენობით. შპს „კადე ოილი“ დაზარალებულად ცნობილია 475,000 აშშ დოლარის ნაწილში; აღნიშნული სესხის უზრუნველყოფისთვის ვალდებულებით დაიტვირთა მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქუჩა ცაგარელი, (ყოფილი კრონშტანტის) N58, სართული 10, ბინა N27ა, გიორგი ბახტაძის მიერ შეძენილი და ამ ეტაპზე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. დღევანდელი მდგომარეობით, შპს „კადე ოილის“ სასესხო ვალდებულება ფიქსირდება სს „საქართველოს ბანკთან“ მიმართებაში, საიდანაც ნაწილი ვალდებულება შესრულდა შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების უძრავი ქონების რეალიზებით, ხოლო დარჩენილი სესხის გადახდას ახორციელებს ეტაპობრივად შპს „კადე ოილი“;
- გიორგი ბახტაძე ითხოვს მის მიერ შეძენილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.
- შპს „კადე ოილი“ ითხოვს მის მიერ სს „საქართველოს ბანკში“ ზემოთ აღნიშნული არსებული სესხის ფარგლებში გადახდილი თანხის ანაზღაურებას, ამასთანავე, აცხადებს რომ აღნიშნული თანხის ანაზღაურების შემთხვევაში, არ ექნება პრეტენზია და ჩაითვლება დაკმაყოფილებულად;
- სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში, შპს „კადე ოილის“ მიერ, ამ ეტაპზე დაფარულია 80,182.15 ევრო. ამასთანავე, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ცაგარელის ქუჩა (ყოფილი კრონშტანტის) N58, სართული 10, ბინა N27ა, მდებარე უძრავი ქონების საბანკო ვალდებულების გათავისუფლებისთვის დარჩენილი ვალდებულება შეადგენს 84,788 აშშ დოლარს. როგორც სს „საქართველოს ბანკი“ წერილობით განმარტავს, იმ შემთხვევაში თუ სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება 84,788.96 აშშ დოლარი 2024 წლის 2 დეკემბრამდე, გამოთქვამს მზაობას, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქუჩა ცაგარელი, (ყოფ. კრონშტანტის), N58, სართული 10, ბინა N27ა, მდებარე უძრავ ქონებაზე მოხსნას იპოთეკა.
- შოთა ჯვარიშვიტი 2019 წლის 11 თებერვალს შპს „საინვესტიციო - დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შეიძინა ერთი 100 კვ.მ. ფართობის ბინა, ხოლო მეორე 60 კვ.მ. ფართობის ბინა საირმის ქუჩა N37-ში, ან მისი კომპანიის მიერ საბურთალოზე აშენებულ რომელიმე კორპუსში, ჯამში 125,000 აშშ დოლარად. ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, ბესიკ თხელიძეზე გადაფორმდა საირმის ქუჩა N10, ბინა N49-ში არსებული საცხოვრებელი ფართი, შეფასებული 125,000 აშშ დოლარად. შოთა ჯვარიშვიტი დაზარალებულად ცნობილია 125,000 აშშ დოლარის ნაწილში. ამ ეტაპზე მის მიერ დათმობილი უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „პაშა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ. შოთა ჯვარიშვიტი ითხოვს მის მიერ დათმობილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან და მის საკუთრებაში დაბრუნებას. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ ბინის დაბრუნების შემთხვევაში არ ექნება



პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;


- ირაკლი მამულაშვილმა 2019 წლის ივლისში შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საირმის ქუჩა N35-ში შეიძინა 34.10 კვ.მ. კომერციული ფართი 19,000 აშშ დოლარად, რაც სრულად გადახდილი აქვს. ირაკლი მამულაშვილი დაზარალებულად ცნობილია 19,000 აშშ დოლარის ნაწილში. ამ ეტაპზე აღნიშნული უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „პაშა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ. ირაკლი მამულაშვილი ითხოვს, მის მიერ შეძენილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ უძრავი ქონების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევაში არ ექნება სხვა პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- მაია კალანდაძემ 2019 წლის 7 სექტემბერს შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საირმის ქუჩა N35-ში შეიძინა 82.50 კვ.მ. ფართი, გადახდილი აქვს 47,200 აშშ დოლარი. მაია კალანდაძე დაზარალებულად ცნობილია 47,200 აშშ დოლარის ნაწილში. ამ ეტაპზე მის მიერ შეძენილი უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „პაშა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ; მაია კალანდაძე ითხოვს, მის მიერ შეძენილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ უძრავი ქონების საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევაში არ ექნება სხვა პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.
- დაზარალებულ პირთა და სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ ზემოთ წარმოდგენილი უძრავი ქონებები - დატვირთულია იპოთეკით შპს „ნენე ფრუქტის“ სასესხო ვალდებულების ფარგლებში. ამასთანავე, სს „პაშა ბანკი საქართველო“ ამავე წერილით გამოთქვამს მზაობას გაათავისუფლოს უძრავი ქონებები აღნიშნული იპოთეკური სესხით წარმოშობილი ვალდებულებებისგან და გააუქმოს იპოთეკის უფლების რეგისტრაცია, სესხის დარჩენილი დავალიანების ნაწილობრივ ანაზღაურების შემთხვევაში. კერძოდ ბანკის მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით:
- შოთა ჯვარშიშვილის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებას სს „პაშა ბანკი საქართველო“ გაათავისუფლებს იპოთეკური ვალდებულებისგან ბანკისთვის 109,192.20 აშშ დოლარის ანაზღაურების შემთხვევაში;
- ირაკლი მამულაშვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას სს „პაშა ბანკი საქართველო“ გაათავისუფლებს იპოთეკური ვალდებულებისგან ბანკისთვის 18,795.43 აშშ დოლარის ანაზღაურების შემთხვევაში;
- მაია კალანდაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას სს „პაშა ბანკი საქართველო“ გაათავისუფლებს იპოთეკური ვალდებულებისგან ბანკისთვის 46,691.80 აშშ დოლარის ანაზღაურების შემთხვევაში;
- ირმა მჭედლიშვილმა 2018 წლის 21 აგვისტოს შპს „საინვესტიციო - დეველოპერული კომპანია ათორისგან“ შეიძინა აბაშიძის ქ. N55-ში 93.70 კვ.მ. ფართის ბინა, სანაცვლოდ, გადაუფორმა ბახტრიონის ქუჩა N22-ში მდებარე ბინა. ირმა მჭედლიშვილმა 2018 წლის 21 აგვისტოს ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან გასცა მინდობილობა - ბესიკ თხელიძის სახელზე, საკუთრებაში არსებული ბინის მართვისა და განკარგვის უფლებით. მოგვიანებით, 2019 წელს ბესიკ თხელიძემ შესთავაზა კომპენსაციის სახით ფართის გაზრდა 120 კვ.მ.-დე, რაზეც გაფორმდა ახალი სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულება. ირმა მჭედლიშვილი დაზარალებულად ცნობილია 80,000 აშშ დოლარის ნაწილში. სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ირმა



მჭედლიშვილის მიერ დათმობილი ქონება (მდებარე ქ.თბილისი, ბახტრიონის ქ. N22, ბინა N57. 122,30 კვ.მ.) შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორის“ მიერ, გადაფორმდა ფ/პ დავით ბაჩიაშვილზე, რომელმაც აღნიშნული ბინა დატვირთა იპოთეკით.

- ირმა მჭედლიშვილი წარმოდგენილი მინდობილი პირის - ფ/პ ნელი მჭედლიშვილის სახით, ითხოვს მის მიერ დათმობილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან და მის საკუთრებაში დაბრუნებას. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ ბინის დაბრუნების შემთხვევაში არ ექნება პრეტენზია, მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. სს „საქართველოს ბანკი“ წერილობით გამოთქვამს მზაობას, შესაბამის ანგარიშზე 2024 წლის 6 დეკემბრამდე, 79,460.04 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ჩარიცხვის შემთხვევაში, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბახტრიონის ქ. N22-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მოხსნას იპოთეკა.
- თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, - დავით ბაჩიაშვილმა 2019 წლის 18 აპრილს, შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორისგან“ შეიძინა სამი უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ თბილისში, საირმის ქუჩა N37-ში, მე-5 სართულზე კერძოდ: 41.10 კვ.მ ფართი 25,625 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, 55.10 კვ.მ ფართი 37,825 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად და 54.00 კვ.მ ფართი 34,375 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, სულ ჯამში 97,825 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. თანხა გადახდილია სრულად. დავით ბაჩიაშვილი დაზარალებულად ცნობილია 97,825 აშშ დოლარის ნაწილში. დაზარალებული პირი განცხადებით ითხოვს მის გადახდილი თანხის ანაზღაურებას და ამავედროულად აცხადებს/ადასტურებს, რომ თანხის მიღების შემთხვევაში არ აქვს/არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის დეველოპმენტისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.
- შავლეგ ციხელაშვილმა 03.05.2016 წელს შეიძინა ქ. თბილისში, საირმის ქ. N37-39-ში მდებარე 90 კვ.მ. ფართი, 75,000 აშშ დოლარის სანაცვლოდ. შავლეგ ციხელაშვილმა აღნიშნული ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, ბესიკ თხელიძეზე გადააფორმა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 9, სართული 3, ბინა N11, 71,60 კვ.მ. შავლეგ ციხელაშვილი დაზარალებულად ცნობილია 75,000 აშშ დოლარის ნაწილში. სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ შავლეგ ციხელაშვილის მიერ დათმობილი ქონება ფ/პ ბესიკ თხელიძემ დატვირთა იპოთეკით. 2023 წლის 11 აგვისტოს განცხადებით, შავლეგ ციხელაშვილი ითხოვდა მის მიერ შეძენილ ფართს საირმის ქ. N37-ში, თუმცა, დღეის მდგომარეობით, შავლეგ ციხელაშვილი ითხოვს მის მიერ დათმობილი უძრავი ქონების გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისაგან და მის საკუთრებაში დაბრუნებას. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ ბინის დაბრუნების შემთხვევაში არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.
- იმ შემთხვევაში, თუ სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება 75,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, 2024 წლის 6 დეკემბრამდე, სს „საქართველოს ბანკი“ წერილობით გამოთქვამს მზაობას, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 9, სართული 3, ბინა N11, 71,60 კვ.მ. უძრავ ქონებაზე მოხსნას იპოთეკა.

მოხსენების მიწურულს, წინა ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმის ქ. N37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, არსებული დაუმთავრებელი



მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით ზემოთ მითითებული ღონისძიებების გატარება.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ დასაბუთებაში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების შესაბამისი თარიღისა და ნომრის მითითების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

59. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 15 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხს.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - ამ კანონით დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ ამავე ორგანული კანონის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რაიონის გამგებელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი.

გადაწყვიტეს:




იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

60. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამოცე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 23 აგვისტოს N24.1463.1654 განკარგულებით ჩამოიწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე ამორტიზირებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემული სესხები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება: გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 61,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 50,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 560,8 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 28 200,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) პროგრამის ასიგნებები - 245,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 9 677,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 419,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 72,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 260,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 16,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 200,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 9 634,5 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 87,7 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 522,0 ათასი ლარით,



გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03) - 54,8 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 491,2 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 939,8 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 1 243,0 ათასი ლარით, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 841,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 109,2 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 180,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 19,6 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 45,3 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 130,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 22,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 235,4 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 69,8 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 220,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 170,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 168,8 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 160,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 2 200,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - 55,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 300,0 ათასი ლარით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 50,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 45,0 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 42,0 ათასი ლარით, თბილისის სამემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 24,4 ათასი ლარი, სანდრო მრეკლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) - 23,2 ათასი ლარით, სამეფო უზნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 21,7 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 610,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ზიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 35,6 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 438,1 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 702,3 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 357,1 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 50,7 ათასი ლარით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) - 21,5 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) - 1 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 1 000,0 ათასი ლარით.

მცირდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 11,5 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 1 000,0 ათასი ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 866,6 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 2 364,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები -



616,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 247,2 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 5 425,4 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 13,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელისა და პროექტებში (კოდი 04 04) - 154,9 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - 50,0 ათასი ლარით, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) - 284,2 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 199,8 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 140,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 16,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 5,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 41,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 72,6 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 28,5 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) - 109,3 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) - 1 000,0 ათასი ლარით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) - 15,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) - 4,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 35,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) - 59,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) - 1 036,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13) - 4,6 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) - 44,7 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 209,9 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) - 1,1 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) - 6,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 130,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 20,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 230,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 22,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) - 150,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 17 08) - 2,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) - 5,4 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) - 2,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 484,2 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) - 39,6 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) - 13,7 ათასი ლარით, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 26,9 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით,



კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) - 0,6 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 5 000,0 ათასი ლარით, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 30,3 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 1 724,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 2 479,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 4 102,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) - 20,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 1 850,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაუმჯობესების სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 315,4 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 407,8 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 7 860,2 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 8 ერთეულით, ხოლო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4883 ერთეულით.

მომხსენებლისვე მითითებით, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: საბაგრო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) - 1 232,2 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 877 892,3 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 787 117,7 ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 077 927,2 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 28 129,8 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 171 905,1 ათასი ლარით. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ნინო ვარდოლასანიძე
სხდომის მდივანი		ნინო დანელიაშვილი